განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

,,ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

- **ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:**

  - ✓ **დადგენილების მიღების მიზეზი:**

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2027 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

- პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

- არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მომზადება ხორციელდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, ხოლო აღნიშნული დადგენილების განხილვა და დამტკიცება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

  - ✓ **დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:**

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

  - ✓ **დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:**

ბიუჯეტის პარამეტრები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განისაზღვრა

191 618,2 ათ. ლარით. მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 91 394,0 ათ. ლარით:

- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 20 000,0 ათ. ლარს;
- დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 71 394,0 ათ. ლარს;

გრანტების სახით დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 76 804,2 ათ. ლარით:

- მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 876,2 ათ. ლარს;
- სპეციალური ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს-25 000,0 ათ.ლარს;
- გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-და/ან ა(ა)იპ-დან - 928,0 ათ.ლარს;
- კაპიტალური ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 50 000,0 ათ. ლარს;

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 17 720,0 ათ. ლარით:

- შემოსავლები საკუთრებიდან განისაზღვრა - 700,0 ათ. ლარით:
  - პროცენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 300,0 ათ. ლარით;
  - რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 400,0 ათ. ლარით;
- შემოსავლები საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან განისაზღვრა - 5 420,0 ათ. ლარით:
  - სანებართვო მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 1 470,0 ათ. ლარით;
  - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის მაჩვენებელი განისაზღვრა - 850,0 ათ. ლარით;
  - ადგილობრივი მოსაკრებლის მაჩვენებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის განისაზღვრა - 3 000,0 ათ. ლარით;
  - შემოსავალი არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების განისაზღვრა - 100,0 ათ.ლარი;
- შემოსავლები ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან განისაზღვრა - 8 600,0 ათ. ლარით;
- ტრანსფერი რომელიც სხვაგან არა არის კლასიფიცირებული განისაზღვრა - 3 000,0 ათ. ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 5 700 ,0 ათ. ლარით;

2027 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემოსულობები და სავარაუდო ნაშთი, სულ ჯამში შეადგენს **192 518,2 ათ. ლარი,** გადასახდელების ნაწილში დაიგეგმა პრიორიტეტების შესაბამისად და გადანაწილდა მუხლობრივად:

- შრომის ანაზღაურება - 47 724,5 ათ. ლარი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში, მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში და რუსთავის საკრებულოში დასაქმებული თანამშრომლების სახელფასო ფონდს;
- საქონელი და მომსახურება - 41 359,9 ათ ლარი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და რუსთავის საკრებულოს სხვადასხვა სახის ხარჯებს: სახელშეკრულებო წესით შესასრულებელ სხვადასხვა სახის სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვის ხარჯებს, სკოლამდელი დაწესებულებების კვების ხარჯს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებას, ოფისის ხარჯებს, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს;
- პროცენტი - 2 543,7 ათ. ლარი გათვალისწინებულია სესხის პროცენტის დასაფარად (მუნიციპალიტეტისთვის შეძენილი სამგზავრო ავტობუსები);
- სუბსიდიები - 20 442,6 ათ. ლარი, თვითმმართველობა სუბსიდირებას უწევს ავტოტრანსპორტის საწარმოს და სასაფლაოს მოვლა-პატრონობას;
- გრანტები - 6,0 ათ. ლარი გათვალისწინებულია ენერგო ქალაქების საწევროს გადასახადის დასაფინანსებლად;
- სოციალური უზრუნველყოფა - 10 230,0 ათ. ლარი განკუთვნილია ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებზე (სოციალურად დაუცველი ოჯახები, შშმ პირები, მრავალშვილიანი ოჯახები და სხვა) გათვლილი პროგრამების განხორციელებისათვის: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, შეღავათები წყლის გადასახადზე, მინიმალური სასურსათო კვების პროგრამა, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება, მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშთა რეაბილიტაცია, გონებრივი განვითარების

დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება, შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურება, ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა, პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა და სხვა;

- სხვა ხარჯები - 28 198,6 ათ. ლარი განკუთვნილია საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციისთვის, მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაციისთვის და მოვლა-პატრონობისთვის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამების განხორციელებისთვის, შენობების სახურავების რეაბილიტაციისთვის და სხვა;
- არაფინანსური აქტივები - 37 148,5 ათ. ლარი გათვალისწინებულია ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და რუსთავის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა ტექნიკის და ინვეტარის შესყიდვისთვის;
- ვალდებულებები - 4 864,4 ათ. ლარი გათვალისწინებულია სესხის ძირი თანხის დასაფარად. (მუნიციპალიტეტისთვის შეძენილი სამგზავრო ავტობუსები);
  - მერის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 2 000,0 ათ. ლარით.
  - საბიუჯეტო რესურსების განაწილებისა და დაგეგმვის ფარგლებში, გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავის საკრებულოს, მერიისა და მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდა 8,4%-ის ფარგლებში.

პროგრამების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარების ასიგნებები შეადგენს **52 153,9** ათას ლარს, პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ღონისძიებები** - **23 603,7** ათასი ლარი:
  - ქალაქ რუსთავში მელიქიშვილის და ლომოურის გასასვლელებში გზებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა- 3 218,5 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში გრიგოლ ხანძთელის ქუჩის გაგრძელებისა და აღმაშენებლის გამზირთან დამაკავშირებელი გზის მოწყობა- 5 400,1 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში მოდებაძის ქუჩის და სპორტის აკადემიის გზის შემაერთებელი მონაკვეთის რეაბილიტაცია - 768,8 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში ნიშნიანიძისა და დოლიძის ქუჩების რეაბილიტაცია - 4 716,3 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში გიორგი ლეონიძის ქუჩის რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 5 000,0 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში სასაფლაოს ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია- 1 000,0 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში მელიქიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 2 000,0 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში მესხიშვილის ქუჩაზე ტროტუარების რეაბილიტაცია (რუსთაველის მოედნიდან თოდრიას წრემდე) – 1 500,0 ათასი ლარი.
- **გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთების ღონისძიებები** - **2 172,5** ათასი ლარი:
  - საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები - 15,0 ათასი ლარი;

- ქალაქ რუსთავში, გზებისა და ტროტუარების ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოები - 2 157,5 ათასი ლარი.

- **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება** - **872,1** ათ. ლარი:
  - შუქნიშნების შეძენა-მონტაჟი - 872,1 ათ.ლარი.
- **სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია - 500,0 ათასი ლარი:**
  - ქალაქ რუსთავში, წყალკანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია - 500,0 ათასი ლარი.
- **საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია** - **10 974,7** ათასი ლარი:
  - ქალაქ რუსთავში მესხიშვილის ქუჩაზე არსებული შენობების რეაბილიტაცია - 4 300,0 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში თბილისის ქუჩაზე არსებული შენობების რეაბილიტაცია- 3 315,5 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის ინფრასტრუქტურის ნაწილობრივი რეაბილიტაცია - 700,0 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში შენობების სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია - 500,0 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში მარჯანიშვილის N11 და კლდიაშვილის N21-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია - 2 000,0 ათასი ლარი;
  - ქსელზე მიერთება - 159,2 ათასი ლარი.
- **შენობების სახურავების რეაბილიტაცია** - **1 000,0** ათასი ლარი:
  - ქალაქ რუსთავში შენობების სახურავების რეაბილიტაცია - 1 000,0 ათასი ლარი.
- **მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია** - **4 000,0** ათასი ლარი:
  - ქალაქ რუსთავში მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია -

    4 000,0 ათასი ლარი.
- **საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზის მომსახურეობა -** გათვალისწინებულია 102,9 ათასი ლარი.
- **საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია** - **928,0** ათასი ლარი:
  - სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურეობისთვის გათვალისწინებულია - 928,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია - 4 000,0** ათასი ლარი:
  - ქალაქ რუსთავის შემოსასვლელში სკვერის მოწყობა და თამარ მეფის მოედნის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია - 2 000,0 ათასი ლარი;
  - ქალაქ რუსთავში საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა/რაბილიტაციის სამუშაოები - 2 000,0 ათასი ლარი.
- **კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - 4 000,0** ათასი ლარი:
  - ქალაქ რუსთავში სახელოვნებო ცენტრის მშენებლობა - 4 000,0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების ასიგნებები შეადგენს **12 887,9 ათას ლარს:**

- **მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება** - პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 600,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 400,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 724,6 ათასი ლარის ოდენობით.

- **გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 700,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 720,6 ათასი ლარის ოდენობით.

- **სარიტუალო მომსახურებება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 22,9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - ვეტერანების სარიტუალო მომსახურება - 3,0 ათასი ლარი.
    - სოც. დაუცველთა სარიტუალო მომსახურება - 19,9 ათასი ლარი.
- **შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე** - პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 57,0 ათასი ლარის ოდენობით.
- **შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე** - პროგრამის ასიგნება განისაზღვრა **3 127,4 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:
    - სოც. დაუცველ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 266,0 ათასი ლარი.
    - ვეტერანთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 77,0 ათასი ლარი.
    - შშმ პირთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 192,5 ათასი ლარი.
    - სტუდენტთა და სახელმწიფო ზრუნვიდან გასული პირების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 1 410,0 ათასი ლარი.
    - სკოლების მოსწავლეების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 790,0 ათასი ლარი.
    - პენსიონრების შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 290,0 ათასი ლარი.
    - სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე - 101,9 ათასი ლარი.
- **ინდივიდუალური დახმარების** პროგრამების ასიგნება განისაზღვრა 65,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - ომის ვეტერანთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა - 32,5 ათასი ლარი.
    - რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების კომუნალური გადასახადის დაფარვა - 7,0 ათასი ლარი.
    - დროებითი საცხოვრისით მოსარგებლე ოჯახებისთვის ელექტრო ენერგიის მომსახურების დაფარვა - 26,0 ათასი ლარი.
- **უხუცეს მოქალაქეთა დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 7,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 880,0 ათასი ლარის ოდენობით.

- **საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 29,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
    - დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 3,0 ათასი ლარი.
    - საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარება - 26,0 ათასი ლარი.
- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება -** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 86,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- შშმ პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა– 76,8 ათასი ლარი.
- მკვეთრად შშმ ტოტალურ უსინათლოთა გამცილებელი - 9,6 ათასი ლარი.

➢ **სოციალური დახმარებების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 150,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 46,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **დიალიზით დაავადებულთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 96,5 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 150,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 5,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **შინ მოვლის თანადაფიანსების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 45,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 386,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **ჩვილ ბავშვთა დახმარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

➢ **პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 489,0 ათასი ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს ასიგნება განისაზღვრა 22 859,8 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“-ს ასიგნება განისაზღვრა 24 064,3 ათასი ლარით, პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

➢ **დასუფთავება და ნარჩენების გატანის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 9 303,8 ათასი ლარით.

➢ **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 6 579,5 ათასი ლარით.

➢ **გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 400,1 ათასი ლარით.

➢ **საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 029,1 ათასი ლარით.

➢ **საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 440,8 ათასი ლარით.

➢ **სანიაღვრე სისტემების მოვლა-პატრონობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 859,5 ათასი ლარით.

➢ **სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 200,0 ათასი ლარით.

➢ **რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 251,5 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“-ს ასიგნება განისაზღვრა 8 819,9 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

➢ **მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების მოვლა-პატრონობა/რეაბილიტაციის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 1 830,9 ათასი ლარით.

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 4 841,9 ათასი ლარით.
- **რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 147,1 ათასი ლარით.

შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო" -ს ასიგნება განისაზღვრა 19 950,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "ქალაქ რუსთავის სპორტის განვითარების ცენტრი"- ს ასიგნება განისაზღვრა 6 802,9 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "კულტურული პროექტების მართვის ცენტრი" - ს ასიგნება განისაზღვრა 7 545,2 ათასი ლარით.

ა(ა)იპ"ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი"-ს ასიგნება განისაზღვრა 3 298,0 ათასი ლარით, ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- **ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 900,0 ათასი ლარით.
- **ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 250,0 ათასი ლარით.
- **ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელშეწყობის** პროგრამის ასიგნება განისაზღვრა 2 148,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო"-ს ასიგნება განისაზღვრა 110,0 ათასი ლარით.

აა(ა)იპ ,,რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი"-ს ასიგნება განისაზღვრა 612,8 ათასი ლარით.

შპს ,,გემა"-ს ასიგნება განისაზღვრა 162,6 ათასი ლარით.

ა(ა)იპ "რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი"-ს ასიგნება განისაზღვრა 818,3 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"-ს ასიგნება განისაზღვრა 551,5 ათასი ლარით.

ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო განმავითარებელი ცენტრი კესანე"-ს ასიგნება განისაზღვრა 1 196,9 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი"-ს ასიგნება განისაზღვრა 1 035,5 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება – ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა"-ს ასიგნება განისაზღვრა 1 073,1 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული მუნიციპალური დრამატული თეატრი"-ს ასიგნება განისაზღვრა 2 172,9 ათასი ლარით.

ა(ა)იპ „ცხოველთა მონიტორინგის ცენტრი"-ს ასიგნება განისაზღვრა 919,8 ათასი ლარით.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

ათას ლარებში

პროგ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2027 წლის პროექტი
სულ	**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ასიგნებები**	**192 518,2**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**26 195,7**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	16 059,8
01 01 01	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	3 150,8
01 01 02	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	12 809,0
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	100,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	10 135,9
01 02 01	სარეზერვო ფონდი	2 000,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5,0
01 02 03	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	7 408,1
01 02 05	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	110,0
01 02 06	მუნიციპალური სერვისების განვითარება და განათლების ხელშეწყობა	612,8
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**83 087,9**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	28 089,1
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	23 603,7
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	2 172,5
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2 312,9
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 359,5
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	1 359,5
02 03	გარე განათება	2 400,1
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	2 400,1
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	17 805,6
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	10 974,7
02 04 02	შენობების სახურავების რეაბილიტაცია	1 000,0
02 04 04	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების მოვლა-პატრონობა/რეაბილიტაცია	5 830,9
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	4 841,9

02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	6 229,1
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	6 029,1
02 06 02	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	200,0
02 07	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	19 950,0
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	102,9
02 10	რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა	2 147,1
02 11	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	162,6
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**18 054,6**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	9 303,8
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	6 579,5
03 03	ცხოველთა მონიტორინგი	919,8
03 04	რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა	1 251,5
04 00	**განათლება**	**26 134,7**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	22 859,8
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	1 196,9
04 04	საშუალო სკოლებში ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	928,0
04 08	ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობის პროგრამა	900,0
04 09	ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	250,0
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**24 787,6**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	6 802,9
05 01 04	სპორტის განვითარების ცენტრის ხელშეწყობა	6 802,9
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	15 836,7
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	11 826,7
05 02 01 01	კულტურული პროექტების მართვის ცენტრის ხელშეწყობა	7 545,2
05 02 01 02	თეატრის ხელშეწყობა	2 172,9
05 02 01 03	მუზეუმის ხელშეწყობა	1 035,5
05 02 01 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	1 073,1
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	4 000,0
05 02 04	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2 148,0
05 03 02	ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელშეწყობა	2 148,0

06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**14 257,7**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4 976,1
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	551,5
06 01 02	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	1 600,0
06 01 03	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	400,0
06 01 04	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	1 724,6
06 01 05	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	700,0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	9 281,6
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	2 720,6
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	22,9
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	57,0
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	3 127,4
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	65,5
06 02 06	უხუცეს მოქალაქეთა დახმარება	7,0
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	818,3
06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	880,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	29,0
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,4
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	150,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა	46,0
06 02 14	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	96,5
06 02 15	ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა	150,0
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	5,0
06 02 17	შინ მოვლის თანადაფინანსება	45,0
06 02 18	შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურება	386,0
06 02 19	ჩვილ ბავშვთა დახმარების პროგრამა	100,0
06 02 20	პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა	489,0

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 21 331,3 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 48 039,1 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 19 414,1 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 33 489,3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 4 976,1 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 24 987,6 ათასი ლარი;
- განათლება - 26 134,7 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 9 281,6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2027-2030 წლებისათვის;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის იურიდიულის პირების დანართი.